

გურთიად
GÜRTİAD



EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

02 Kasım/ნოემბერი 2026

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 941.1	10 296.5	7.5%	13.9 %	5.6 %

Gürcistan Ekonomik Kalkinma Kurumunun Tanitim Toplantisi Gerçekleştirildi

საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციის პრეზენტაცია ჩატარდა



20 Ekim'de, Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı bünyesinde faaliyet gösteren Gürcistan Ekonomik Kalkınma Kurumunun tanıtım toplantısı gerçekleştirildi.

Kurumun faaliyetleri ve gelecek dönem hedefleri, Kurum Direktörü Irakli Gabriadze tarafından katılımcılara sunuldu.

Toplantıda Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze ile Başbakan Yardımcısı ve Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Mariam Kvrivishvili de birer konuşma yaptı.

Haziran 2026'da Gürcistan'da Üret Ajansı bünyesinde kurulan Gürcistan Ekonomik Kalkınma Kurumu, 2014 yılından bu yana küçük ve orta ölçekli işletmelerin gelişimini desteklemek amacıyla uygulanan mevcut destek mekanizmalarını sürdürecek. Bunun yanı sıra, genişletilen görev ve yetki alanı kapsamında büyük ölçekli ve ülke açısından stratejik öneme sahip projelere de finansman desteği sağlayabilecek.

Kurumun öngörülerine göre, önümüzdeki 10 yıllık dönemde Gürcistan ekonomisine 40 milyar Gürcistan larisi tutarına kadar yeni yatırım çekilmesi mümkün olacak.

Etkinliğe Gürcistan Parlamentosu, finans kuruluşları ve diplomatik çevrelerin temsilcilerinin yanı sıra uluslararası ve yerel iş ortakları, girişimciler ile Gürcistan Türk İş İnsanları Derneği (GÜRTİAD) temsilcileri de katılım sağladı.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · İŞBANK · K777 · LC WAIKIKI · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · TURKISH AIRLINES · Wasteless

20 ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკის განვითარების კორპორაციის პრეზენტაცია გაიმართა.

კორპორაცის საქმიანობა და სამომავლო გეგმები ღონისძების სტუმრებს კორპორაციის დირექტორმა - ირაკლი გაბრიაძემ წარუდგინა.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი მარიამ ქვრივიშვილი.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაცია 2026 წლის ივნისში სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ბაზაზე შეიქმნა. ახალი ფინანსური ინსტიტუტი სრულად შეინარჩუნებს აქამდე არსებულ ბიზნესის მხარდაჭერის ინსტრუმენტებს, რომლებიც 2014 წლიდან მოყოლებული ხელს უწყობდა ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას. ამავე დროს, მანდატის ცვლილების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაცია შეძლებს მსხვილ და სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებში მონაწილეობას.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციის პროგნოზით, შესაძლებელი იქნება მომდევნო 10 წლის განმავლობაში 40 მილიარდ ლარამდე ახალი ინვესტიციის მობილიზება ქვეყნის ეკონომიკაში.

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის, ფინანსური ინსტიტუტების, დიპლომატიური სექტორის წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორები და მეწარმეები, მათ შორის, საქართველოში თურქ ბიზნესმენთა ასოციაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA İŞBANK K777 LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports TURKISH AIRLINES Wasteless Specific waste management

Gürcistan Hükümet İdaresi Başkani Levan Jorjoliani, Türkiye'nin Tiflis Büyükelçisi Mustafa Türker Ari İle Görüştü

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი თურქეთის ელჩს შეხვდა



Gürcistan Hükümet İdaresi Başkanı Levan Jorjoliani, T.C. Tiflis Büyükelçisi Mustafa Türker Arı ile bir görüşme gerçekleştirdi.

Görüşmede, stratejik ortaklığın temel iş birliği alanları ele alındı. Özellikle ekonomik iş birliği, ulaştırma ve enerji bağlantısallığı konularına ağırlık verildi.

Görüşmede, Türkiye'nin Gürcistan'ın en önemli ticaret ve yatırım ortaklarından biri olduğu vurgulandı. Turizm sektöründeki iş birliğinin olumlu seyri üzerinde durularak, bu durumun her iki ülkeye yönelik ziyaretçi sayısının gelecekte artırılması için sağlam bir temel oluşturduğu ifade edildi.

Levan Jorjoliani, Gürcistan Hükümetinin bölgesel ulaştırma bağlantılarının güçlendirilmesine özel önem verdiğini belirtti. Bu çerçevede, Orta Koridor'un stratejik önemine dikkat çekildi.

Görüşmede ayrıca üst düzey ziyaretlerin yanı sıra eğitim ve kültür alanlarındaki iş birliği konuları ele alındı. Taraflar, ortak bölgesel projeleri de değerlendirdi.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მუსტაფა თურქერ არის შეხვდა.

მხარეებმა სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიკური თანამშრომლობის, სატრანსპორტო და ენერგეტიკული დაკავშირებადობის საკითხებს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA İŞBANK K777 LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports TURKISH AIRLINES Wasteless

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ თურქეთი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორია. ხაზი გაესვა ტურიზმის სექტორში თანამშრომლობის პოზიტიურ დინამიკას, რაც მყარ საფუძველს ქმნის ორივე ქვეყანაში ვიზიტორთა ნაკადების სამომავლო ზრდისთვის.

როგორც ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონული სატრანსპორტო კავშირების გაძლიერებას. ამ კონტექსტში, ხაზი გაესვა შუა დერეფნის სტრატეგიულ მნიშვნელობას.


საუბარი შეეხო მაღალი დონის ვიზიტებს და ასევე, საგანმანათლებლო და კულტურული მიმართულებით თანამშრომლობას.

მხარეებმა, აგრეთვე, განიხილეს ერთობლივი რეგიონული პროექტები.

GÜRTİAD – ARDI INSURANCE İŞ BİRLİĞİ KAPSAMINDA ÜYELERİMİZE ÖZEL SİGORTA ÇÖZÜMLERİ

GÜRTİAD ile ARDI Insurance arasında gerçekleştirilen iş birliği kapsamında, ARDI'nin kurumsal sigorta alanındaki çözümlerini ve özellikle dernek üyemiz şirketlere sunulan özel koşulları sizlerle paylaşmaktan memnuniyet duyuyoruz.

Gürcistan sigorta pazarında 15 yılı aşkın deneyime sahip olan ARDI, kurumsal sigortacılık anlayışı doğrultusunda yalnızca standart sigorta ürünleri sunmakla kalmayıp her işletmenin



faaliyet alanını, büyüklüğünü, karşı karşıya olduğu riskleri ve özel ihtiyaçlarını dikkate alarak işletmeye özgü sigorta çözümleri geliştirmektedir.

ARDI'nin kurumsal sigorta portföyünde yer alan başlıca ürün ve hizmetler şunlardır:

- Çalışanlara yönelik sağlık sigortası;
- Mal varlığı ve işletme varlıkları sigortası;
- Motorlu araç sigortası;
- Çeşitli sorumluluk sigortaları;
- Nakliyat ve yük sigortası;
- Seyahat sigortası;

İşletmelerin faaliyet alanlarına ve özel ihtiyaçlarına yönelik diğer sigorta çözümleri.

GÜRTİAD üyesi şirketler, söz konusu ürün ve hizmetlerden özel koşullar ve avantajlı prim oranlarıyla yararlanma imkânına sahip olacaktır. Her şirkete özel sigorta teklifi, işletmenin ihtiyaçları ve riskleri doğrultusunda hazırlanacak; kapsam, teminatlar ve diğer detaylar ARDI Kurumsal Sigorta Ekibi tarafından doğrudan ilgili şirketlerle paylaşılacaktır.

ARDI'nin öne çıkan güçlü yönlerinden biri de deneyimli sigorta ekibinin yanı sıra güvenilir uluslararası reasürans ağıdır. Şirket, kurumsal politikası doğrultusunda, yüksek finansal güce ve A sınıfı uluslararası kredi notuna sahip önde gelen reasürans şirketleriyle çalışmaktadır. Bu yapı, özellikle büyük ölçekli ve karmaşık işletme risklerine karşı kapsamlı ve güvenilir sigorta koruması sunulmasını desteklemektedir.

Şirketinizin ihtiyaçlarına uygun sigorta çözümlerini değerlendirmek istemeniz hâlinde ARDI Kurumsal Sigorta Ekibi, işletmenizin ihtiyaçlarını bireysel olarak analiz ederek size özel, esnek ve rekabetçi teklifler sunmaktan memnuniyet duyacaktır.

Detaylı bilgi almak ve şirketinize özel teklif talep etmek için doğrudan ARDI ekibiyle iletişime geçebilirsiniz.

გურთიადსა და ,,არდი დაზღვევას" შორის თანამშრომლობის ფარგლებში, მოხარული ვართ, წარმოგიდგინოთ არდის კორპორაციული სადაზღვევო შესაძლებლობები და სპეციალურად ასოციაციის წევრი კომპანიებისთვის ხელმისაწვდომი პირობები.

15 წელზე მეტი გამოცდილებით საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე, არდის კორპორაციული მიმართულების მთავარი პრინციპია არა მხოლოდ სტანდარტული

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA იშბანკი İŞBANK K777 LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports TURKISH AIRLINES Wasteless Specific waste management

სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზება, არამედ თითოეული ბიზნესის საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბის, რისკებისა და მომხმარებლის ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე სადაზღვევო გადაწყვეტის შემუშავება.

არდის კორპორაციული სადაზღვევო პორტფელი მოიცავს:

- თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას;
- ქონებისა და ბიზნეს აქტივების დაზღვევას;
- ავტოტრანსპორტის დაზღვევას;
- პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახეობის დაზღვევას;
- ტვირთებისა და გადაზიდვების დაზღვევას;
- სამოგზაურო დაზღვევას;
- და სხვა სპეციალიზებულ სადაზღვევო გადაწყვეტილებებს ბიზნესის სპეციფიკის შესაბამისად.

როგორც გურთიადის წევრ კომპანიებს, აღნიშნულ პროდუქტებსა და მომსახურებებზე გექნებათ წვდომა სპეციალური პირობებითა და შეღავათიანი ტარიფებით. კონკრეტული შეთავაზება მომზადდება თქვენი კომპანიის საჭიროებებისა და რისკების შეფასების საფუძველზე, ხოლო დეტალურ პირობებს არდის კორპორაციული გუნდი ინდივიდუალური კომუნიკაციის ფარგლებში გაგიზიარებთ.

არდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა ძლიერი პროფესიული სადაზღვევო გუნდი და საერთაშორისო გადაზღვევის საიმედო სისტემა. კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, არდი თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან, მაღალი ფინანსური მდგრადობისა და A-კლასის საერთაშორისო რეიტინგის მქონე გადამზღვევ კომპანიებთან, რაც საშუალებას იძლევა, განსაკუთრებით მსხვილი და კომპლექსური ბიზნეს რისკებისთვისაც იქნას შეთავაზებული საიმედო სადაზღვევო დაცვა.

თუ დაინტერესდებით თქვენი ორგანიზაციისთვის ოპტიმალური სადაზღვევო მოდელის განხილვით, არდის კორპორაციული გუნდი მზად არის ინდივიდუალურად შეისწავლოს თქვენი ბიზნესის საჭიროებები და შემოგთავაზოთ შესაბამისი, მოქნილი და კონკურენტული გადაწყვეტა.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ პირდაპირ დაუკავშირდეთ არდის გუნდს.

Moka Unıted Georgıa Ve İş Bankası Gürcistan Arasında İş Birliği

Moka United Georgia-სა და "იშბანკი საქართველოს" შორის პარტნიორობა



İş birliği anlaşması, Gürcistan Türk İş İnsanları Derneği (GÜRTİAD) üyesi Moka United Georgia Direktörü Nino Chedia ile İş Bankası Gürcistan Genel Müdürü Onur Kutuk tarafından imzalandı.

Moka United Georgia ile İş Bankası Gürcistan arasındaki iş birliğinin amacı, işletmelerin modern ödeme hizmetlerine erişimini kolaylaştırmak ve ihtiyaçlarına uygun finansal çözümler geliştirmektir.

İş birliği kapsamında Moka United Georgia, İş Bankası Gürcistan'ın ticari müşterilerine POS terminalleri aracılığıyla sunulan hizmetler de dâhil olmak üzere çeşitli ödeme çözümleri sağlayacaktır. Bu sayede işletmeler, müşterilerinden banka ve kredi kartlarıyla yapılan ödemeleri, temassız işlemler de dâhil olmak üzere, hızlı, güvenli ve kolay bir şekilde kabul edebilecektir.

Moka United, altı ülkede faaliyet gösteren ve işletmelere modern ödeme çözümleri sunan uluslararası bir finansal teknoloji (fintek) şirketidir. Şirket, Gürcistan'da dijital ödeme sistemleri ve para transferi alanlarında faaliyet göstermektedir.

Türkiye İş Bankası, Türkiye bankacılık sektörünün önde gelen finans kuruluşlarından biridir. Uzun yıllara dayanan deneyimi ve uluslararası ölçekte sunduğu çeşitli bankacılık hizmetleriyle öne çıkmaktadır. İş Bankası Gürcistan ise 2012 yılından bu yana faaliyet göstermekte olup kurumsal müşterilerine, küçük ve orta ölçekli işletmelere geniş bir yelpazede bankacılık ürün ve hizmetleri sunmaktadır.

Moka United Georgia ile İş Bankası Gürcistan arasındaki bu iş birliği, uluslararası deneyimi ve finans sektörünün iki önemli alanı olan modern ödeme teknolojileri ile bankacılık hizmetlerini bir araya getirmektedir. Söz konusu ortaklık, işletmelere ödeme süreçlerini geliştirme ve

müşterilerine daha hızlı, güvenli ve verimli ödeme çözümleri sunma konusunda yeni fırsatlar sağlamaktadır.

საქართველოში თურქ ბიზნესმენთა ასოციაციის წევრმა კომპანიებმა - Moka United Georgia და Isbank Georgia გააფორმეს პარტნიორობის შეთანხმება, რომელსაც ხელი გენერალურმა დირექტორებმა ნინო ჭედიამ და ონურ ქუთუქმა.

თანამშრომლობის მიზანია ბიზნესებისთვის თანამედროვე საგადახდო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათ საჭიროებებზე მორგებული ფინანსური სერვისების განვითარება.

თანამშრომლობის ფარგლებში, Moka United Georgia, "იშბანკი საქართველოს" ბიზნესკლიენტებს საგადახდო სერვისებს, მათ შორის, POS ტერმინალებით მომსახურებას სთავაზობს. აღნიშნული გადაწყვეტა ბიზნესებს შესაძლებლობას აძლევს, მომხმარებლებისგან საბარათე გადახდები, მათ შორის უკონტაქტო ტრანზაქციები, სწრაფად, უსაფრთხოდ და კომფორტულად მიიღონ.

Moka United საერთაშორისო ფინტექ კომპანიაა, რომელიც 6 ქვეყანაში ოპერირებს და ბიზნესებს თანამედროვე საგადახდო გადაწყვეტილებებს სთავაზობს. საქართველოში კომპანია ციფრული გადახდებისა და ფულადი გზავნილების მიმართულებით საქმიანობს.

თავის მხრივ, ,,Türkiye İş Bankası“ თურქეთის საბანკო სექტორის ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც მრავალწლიანი გამოცდილებითა და საერთაშორისო მასშტაბით მრავალფეროვანი საბანკო მომსახურებით გამოირჩევა. ,,იშბანკი საქართველოში“ 2012 წლიდან ოპერირებს და კორპორაციულ, მცირე და საშუალო ბიზნესებს საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს.

Moka United Georgia-სა და "იშბანკი საქართველოს" თანამშრომლობა აერთიანებს საერთაშორისო გამოცდილებისა და ფინანსური სექტორის ორ მნიშვნელოვან მიმართულებას - თანამედროვე საგადახდო ტექნოლოგიებსა და საბანკო მომსახურებას და ქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესებისთვის საგადახდო მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით.

Gürcistan, GSYH Büyüme Oranında Bölge Lideri

საქართველო მშპ-ის ზრდის ტემპით რეგიონის ლიდერია



Dünya Bankası, Gürcistan ekonomisinin bu yıl %7 oranında büyümesini, 2027 ve 2028 yıllarının ilk çeyreklerinde ise büyüme oranının sırasıyla %5,5 ve %5 seviyelerine gerilemesini bekliyor.

Dünya Bankası verilerine göre, Gürcistan'da reel gayrisafi yurt içi hasılanın (GSYH) yıllık büyüme oranı 2024 yılından bu yana düşüş eğilimi gösteriyor. Buna göre, 2023 yılında %7,8, 2024 yılında ise %9,7 ile en yüksek büyüme oranı kaydedildi. Büyüme oranı 2025 yılında %7,5'e, bu yıl ise %7'ye geriledi. Bu yavaşlama eğiliminin önümüzdeki yıllarda da devam etmesi bekleniyor.

Bununla birlikte Gürcistan, bölgedeki komşu ülkeler arasında reel GSYH büyümesi bakımından lider konumda bulunuyor. Dünya Bankası, bu yıl Ermenistan ekonomisinin %5,6, Azerbaycan ekonomisinin %1,2 oranında büyümesini bekliyor. Bu oranın Türkiye'de %2,8, Rusya'da ise yalnızca %0,8 olması öngörülüyor.

Dünya Bankasının değerlendirmesine göre, Gürcistan'da otomobil reeksportundan kaynaklanan önceki dönemlerdeki büyüme ivmesi giderek zayıflıyor. Orta Doğu'daki çatışmaların etkisiyle turizm sektöründeki büyüme de yavaşladı. Bu durum, sektörün bölgeden gelen yüksek gelir grubundaki turistlere olan bağımlılığını ortaya koyuyor. Nitekim Dünya Bankası verilerine göre, 2026 yılının ilk yarısında Gürcistan'ın İsrail ve Suudi Arabistan'dan gelen turistlerden elde ettiği gelir %12 azaldı.

Ermenistan'da ise değerli metallerin reeksportunda gerileme yaşanırken tarımsal faaliyetler de zayıfladı. Bu gelişmelerde, hava koşullarına bağlı olumsuzlukların yanı sıra Rusya'nın Ermeni gıda ürünlerinin ithalatına yönelik kısıtlamalarını sıkılaştırması etkili oldu. Buna karşılık konut inşaatı ve altyapı yatırımları, Ermenistan ekonomisinin büyümesine ilave katkı sağladı.

Azerbaycan'da ekonomik büyümenin geçen yılki %1,4 seviyesinden bu yıl %1,2'ye gerilemesinin temel nedenleri arasında petrol sektöründeki yapısal daralmanın devam etmesi

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA İŞBANK LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports TURKISH AIRLINES Wasteless

ve petrol dışı ekonomide büyümenin beklentilerin altında kalması yer alıyor. Bu gelişmeler, kamu sermaye harcamalarındaki azalmayla eş zamanlı olarak gerçekleşiyor.

Dünya Bankası, Güney Kafkasya ülkelerinin toplam GSYH'sinin bu yıl %3,5 oranında büyümesini öngörüyor. Bu oran, 2025 yılı için belirlenen hedefin 0,4 yüzde puan altında bulunuyor. Güney Kafkasya'da ekonomik büyüme 2023 yılında %3,8, 2024 yılında ise %5,8 olarak gerçekleşmişti.

მსოფლიო ბანკი წელს საქართველოს მშპ-ის 7%-იან ზრდას, ხოლო 2027 და 2028 წლების პირველ კვარტლებში, შესაბამისად, 5.5%-მდე და 5.0%-მდე კლებას მოელის.

ორგანიზაციის მონაცემებით, 2024 წლიდან საქართველოში რეალური მშპ-ის ზრდის წლიური ცვლილების პროცენტული მაჩვენებელი კლების ტენდენციას განიცდის. კერძოდ, 2023 წელს 7.8%-იანი ზრდა, 2024 წელს კი ყველაზე მაღალი, 9.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა, მაშინ, როცა 2025 წელს მშპ-ის ზრდა 7.5%-მდე, წელს კი 7%-მდე შენელდა, რაც მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

თუმცა საქართველო რეგიონის მეზობლებს შორის რეალური მშპ-ის ზრდით ლიდერია. მაგალითად, წელს მსოფლიო ბანკი სომხეთში 5.6%-იან, აზერბაიჯანში კი 1.2%-იან ზრდას მოელის. თურქეთში ეს მაჩვენებელი 2.8%-ს, ხოლო რუსეთში მხოლოდ 0.8%-ს შეადგენს.

ბანკის შეფასებით, საქართველოში ავტომობილების რეექსპორტის წინა ზრდა სულ უფრო მცირდება, ხოლო ტურიზმი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის გავლენის გამო შენელდა, რაც რეგიონიდან მდიდარ ტურისტებზე სექტორის დამოკიდებულებას ასახავს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს შემოსავალი ისრაელისა და საუდის არაბეთის ტურისტების მხრიდან 12%-ით შემცირდა.

რაც შეეხება სომხეთს, ძვირფასი ლითონების რეექსპორტი შემცირდა, ხოლო სოფლის მეურნეობის აქტივობა შესუსტდა, რისი მიზეზიც ამინდთან დაკავშირებული დარღვევები და რუსეთის მიერ სომხური საკვები პროდუქტების იმპორტზე გამკაცრებული შეზღუდვებია. თუმცა საცხოვრებელი სახლების მშენებლობამ და ინფრასტრუქტურის განვითარებამ სომხეთის ზრდას დამატებითი სტიმული მისცა.

აზერბაიჯანში გასული წლის 1.4%-იდან წელს ზრდის კიდევ 1.2%-მდე შენელების მიზეზი ნავთობის სექტორში მიმდინარე სტრუქტურული ვარდნა და

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA İŞBANK K777 LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports TURKISH AIRLINES Wasteless

არასანავთობო ეკონომიკაში მოსალოდნელზე სუსტი ზრდაა, რაც სახელმწიფო კაპიტალური ხარჯის შემცირების ფონზე ხდება.

მთლიანობაში, ბანკი წელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მშპ-ის 3,5%-იან ზრდას პროგნოზირებს, რაც 2025 წლის მიზნობრივ მაჩვენებელზე 0,4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. 2023 წელს ზრდა 3.8%-ს, ხოლო 2024 წელს 5.8%-ს შეადგენდა.

Gürcistan'in Diş Ticaret Hacmi Ocak-Eylül 2026 Döneminde %9,2 Artti

იანვარ-სექტემბერში ექსპორტი 19.6%-ით, იმპორტი 5.3%-ით გაიზარდა



Gürcistan İstatistik Kurumu (Geostat) verilerine göre, 2026 yılının Ocak-Eylül döneminde Gürcistan'ın mal dış ticaret hacmi (beyan edilmemiş ticaret hariç) 20,535 milyar ABD doları olarak gerçekleşti. Bu rakam, 2025 yılının aynı dönemine kıyasla %9,2 artışa işaret ediyor.

Söz konusu dönemde ihracat %19,6 artarak 6,153 milyar ABD dolarına, ithalat ise %5,3 artarak 14,382 milyar ABD dolarına ulaştı.

Gürcistan'ın dış ticaret açığı, 2026 yılının Ocak-Eylül döneminde 8,228 milyar ABD doları olarak kaydedildi. Dış ticaret açığının toplam dış ticaret hacmi içindeki payı %40,1 oldu.

Başlıca Dış Ticaret Ortakları

2026 yılının Ocak-Eylül döneminde Gürcistan'ın en büyük 10 ihracat ortağı, toplam ihracatın %67,8'ini oluşturdu. En fazla ihracat yapılan ülkeler sırasıyla Kırgızistan (650,2 milyon ABD doları), Çin (583,1 milyon ABD doları) ve Azerbaycan (566,7 milyon ABD doları) oldu.

Aynı dönemde en büyük 10 ithalat ortağının toplam ithalattaki payı %69,2 olarak gerçekleşti. İthalatta ilk üç sırada Türkiye (2,187 milyar ABD doları), Çin (1,746 milyar ABD doları) ve ABD (1,716 milyar ABD doları) yer aldı.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA İŞBANK LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports TURKISH AIRLINES Wasteless

Toplam dış ticaret hacmi bakımından ise en büyük 10 ticaret ortağının payı %64,8 oldu. Gürcistan'ın en büyük üç ticaret ortağı Türkiye (2,547 milyar ABD doları), Çin (2,329 milyar ABD doları) ve Rusya (2,211 milyar ABD doları) olarak sıralandı.

Başlıca Ihraç Ve Ithal Ürünler

2026 yılının Ocak-Eylül döneminde en fazla ihraç edilen ürün grubu binek otomobiller oldu. 1,529 milyar ABD doları tutarındaki binek otomobil ihracatı, toplam ihracatın %24,9'unu oluşturdu.

İkinci sırada 811,8 milyon ABD doları ve %13,2 pay ile petrol ve petrol ürünleri, üçüncü sırada ise 464 milyon ABD doları ve %7,5 pay ile kıymetli metal cevherleri ve konsantreleri yer aldı.

İthalatta da ilk sırayı binek otomobiller aldı. Bu ürün grubunun ithalatı 2,652 milyar ABD doları olarak gerçekleşerek toplam ithalatın %18,4'ünü oluşturdu.

İkinci sırada 1 milyar 407,2 milyon ABD doları (%9,8) ile petrol ve petrol ürünleri, üçüncü sırada ise 526,8 milyon ABD doları (%3,7) ile ambalajlı ilaçlar yer aldı.

2026 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 20.535 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.2%-ით მეტია.

აქედან, ექსპორტი 6.153 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 19.6 პროცენტით), ხოლო იმპორტი 14.382 მლრდ. აშშ დოლარს (გაიზარდა 5.3 პროცენტით).

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა კი 2026 წლის იანვარ-სექტემბერში 8.228 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.1 პროცენტია.

2026 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 67.8 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ყირგიზეთი (650.2 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (583.1 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (566.7 მლნ. აშშ დოლარი).

2026 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.2 პროცენტი შეადგინა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA İŞBANK K777 LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports TURKISH AIRLINES Wasteless

პირველ სამეულში შედის: თურქეთი (2.187 მლრდ. აშშ დოლარი), ჩინეთი (1.746 მლრდ. აშშ დოლარი) და აშშ (1.716 მლრდ. აშშ დოლარი).

2026 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 64.8 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2.547 მლრდ. აშშ დოლარი), ჩინეთი (2.329 მლრდ. აშშ დოლარი) და რუსეთი (2.211 მლრდ. აშშ დოლარი).

2026 წლის იანვარ-სექტემბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 1.529 მლრდ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 24.9 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 811.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 13.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 464 მლნ. აშშ დოლარით (7.5 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2026 წლის იანვარ-სექტემბერში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 2.652 მლრდ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 18.4 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 1.407.2 მლრდ. აშშ დოლარით (იმპორტის 9.8 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სამკურნალო საშუალებები დაფასოებული 526.8 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 3.7 პროცენტი).

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA İŞBANK K777 LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports TURKISH AIRLINES Wasteless